2023

ევროპის საინვესტიციო ბანკის მოკლე მიმოხილვა

ევროპის
საინვესტიციო ბანკი

ევროპის საინვესტიციო ბანკის მოკლე მიმოხილვა

© ევროპის საინვესტიციო ბანკი, 2023.
98-100, boulevard Konrad Adenauer
L-2950 Luxembourg
+352 4379-1
info@eib.org
www.eib.org
twitter.com/eib
facebook.com/europeaninvestmentbank
youtube.com/eibtheeubank

ყველა უფლება დაცულია
უფლებებთან და ლიცენზიებთან დაკავშირებული შეკითხვების შემთხვევაში
მოგვწერეთ: publications@eib.org

ჩვენი საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს: www.eib.org
ასევე, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ info@eib.org. გადმოიწერეთ ჩვენი ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი: www.eib.org/sign-up

ბუნების ძალა შთამბეჭდავია. ისტორიის მანძილზე, ადამიანებს აშინებდათ მისი ძალით გამოწვეული ქარიშხლები, წყალდიდობები, გვალვები და ვულკანის ამოფრქვევები. ამ კრიტიკულ დროს, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენ ნაბიჯი უნდა ავუწყოთ ბუნებას და მოვათვინიეროთ მისი ძალა, თუ გვსურს ჩვენი ქმედებებით გამოწვეული კლიმატის ცვლილების დამარცხება. ევროპის საინვესტიციო ბანკის ინვესტიციების ნახევარზე მეტი ჩადებულია კლიმატთან დაკავშირებულ ქმედებასა და გარემოს მდგრადობაში. ჩვენი პრიორიტეტია დავაფინანსოთ მწვანე ტრანზიცია განახლებად ენერგიაში, რომელსაც აწარმოებს ბუნება, გეოთერმული ენერგიიდან დაწყებული ჰიდროელექრო და ქარის ენერგიამდე. სწორედ ამიტომ ვათავსებთ ამ ბუნების ძალებს ჩვენი მთავარი ანგარიშების ყდებზე წელს.

© ფოტო ეკუთვნის: EIB, Eggtronic, Anaconda Biomed, GettyImages, Shutterstock.

გამოქვეყნებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ.
დაბეჭდილია FSC® ქაღალდზე.

pdf: QH-04-22-272-KA-N ISBN 978-92-861-5497-3 doi: 10.2867/901111

ევროპის საინვესტიციო ბანკის მოკლე მიმოხილვა

ევროპის საინვესტიციო ბანკი (ესბ) ევროკავშირის ბანკია. ჩვენ ვართ მსოფლიოს უმსხვილესი მრავალმხრივი ფინანსური ინსტიტუტი და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების ერთ-ერთი უმსხვილესი დამფინანსებლები.

1958 წელს დაარსებიდან დღემდე, ევროპის საინვესტიციო ბანკმა მოახდინა ტრილიონ ევროზე მეტის ინვესტირება პროექტებში ევროპასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. მაშინ როდესაც კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები ჩვენი მოქმედებების განუყოფელი ნაწილია, ჩვენი საქმიანობები ფოკუსირდება შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებზე: კლიმატი და გარემო, განვითარება, ინოვაცია და უნარები, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესები, ინფრასტრუქტურა და ურთიერთგათანაბრების პოლიტიკა.

ევროპის საინვესტიციო ფონდი, რომელიც ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფის ნაწილია, სპეციალიზირდება მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერაზე ახალი ბიზნესების, ზრდის, ინოვაციის, კვლევის, დასაქმებისა და რეგიონალური განვითარების დაფინანსებით.

ევროპის საინვესტიციო ბანკი მუშაობს ევროკავშირის ინსტიტუტებთან ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობის, ევროკავშირში განვითარების სტიმულირებისა და ევროკავშირის პოლიტიკის მხარდაჭერისათვის. აღნიშნული მუშაობა სცდება ევროპის საზღვრებს: ევროპის საინვესტიციო ბანკი საქმიანობს 160 ქვეყანაში და აუმჯობესებს მილიონობით ადამიანის ცხოვრებას ყოველწლიურად ევროკავშირსა და მთელ მსოფლიოში.

ურთიერთკავშირი ყოველთვის წარმოადგენდა ევროპის საინვესტიციო ბანკის საქმიანობის ქვაკუთხედს ჩვენი ისტორიის მანძილზე. ევროპის საინვესტიციო ბანკის ინვესტიცია მჭიდროდ აკავშირებს ევროკავშირის ქვეყნებს ერთმანეთთან ევროპაში. „ესბ გლობალის“ მეშვეობით, რომელიც დაფუძნდა 2022 წელს ჩვენი განვითარების დაფინანსების ზემოქმედების გაზრდის მიზნით, ჩვენ ვეხმარებით გლობალურ გამოწვევებთან გამკლავებაში და ვქმნით ზრდასა და შესაძლებლობებს ყველა კონტინენტზე.

ეპოქაში, სადაც მრავალმხრივი ურთიერთობების პრინციპი როგორც ღირებულება კითხვის ნიშნის ქვეშაა, ევროპის საინვესტიციო ბანკის მუშაობა წარმოადგენს ინტეგრირებული ევროპული ძალისხმევის მძლავრი შესაძლებლობების მუდმივ შემახსენებელ ფაქტორს.

კოვიდ–19-ის გავრცელებასთან ერთად, მსოფლიო აღმოჩნდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოულოდნელი საგანგებო სიტუაციის წინაშე. გაჩნდა ვაქცინის მოძიებისა და ვირუსის გავრცელების შეზღუდვის გადაწყვეტილებების პოვნის გადაუდებელი საჭიროება. ევროპის საინვესტიციო ბანკმა დააფინანსა კოვიდ–19-ის ვაქცინების შექმნა და წარმოება და არსებითი მხარდაჭერა გაუწია სხვა ჯანდაცვის ღონისძიებებს როგორც ევროკავშირის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფმა ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროკავშირის მიერ გატარებულ ღონისძიებებში, რომლებიც ეხებოდა ევროპულ ბიზნესებსა და ეკონომიკაზე კრიზისის ეკონომიკური შედეგების ზემოქმედების შეკავებას.

კოვიდ–19-ის კრიზისის დასუსტებისთანავე, რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რამაც ახალი გლობალური კრიზისი გამოიწვია. მიმდინარე კრიზისზე საერთაშორისო რეაგირების ფარგლებში, ბანკმა მოახდინა ფინანსური დახმარების მობილიზება უკრაინისათვის ევროპის საინვესტიციო ბანკის სოლიდარობის პაკეტის მეშვეობით უკრაინის მთავრობის გადაუდებელ საჭიროებებზე დასახმარებლად. დამატებით, ევროკომისიასთან თანამშრომლობით, ევროპის საინვესტიციო ბანკი მუშაობს შემდგომი დაფინანსების გამოყოფაზე რათა დაეხმაროს მთავრობას უზრუნველყოს კრიტიკულად მნიშვნელოვანი საჯარო სერვისები იმ მოსახლეობისთვის, ვინც დარჩა უკრაინაში.

როგორც მსოფლიოს უმსხვილესი მრავალმხრივი მსესხებელი, ევროპის საინვესტიციო ბანკი ეხმარება ეკონომიკებს აყვავებაში, ქმნის სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს თანასწორობასა და მდგრადობას. ჩვენ ვმუშაობთ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენელ პარტნიორებთან და ჩვენი წარმატების საზომია ის, თუ რამდენად დაეხმარა ჩვენი მუშაობა საზოგადოებას და გახადა ცხოვრება უკეთესი იმ ადამიანებისთვის, ვისთანაც შეხება გვქონდა.

ევროპის საინვესტიციო ბანკის ინვესტიციები აქტიურად უჭერს მხარს „მწვანე ტრანზიციას“. როგორც ევროკავშირის კლიმატის ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი დახმარებას უწევს პარიზის შეთანხმებით – კლიმატის ცვლილების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულება – აღებული ვალდებულებების და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას საკუთარი საქმიანობით მსოფლიოში. ჩვენ გამოვყავით ერთი ტრილიონი ევრო კლიმატთან და გარემოსდაცვით მდგრადობასთან დაკავშირებული ინვესტიციებისთვის მომავალი ათწლეულისთვის.

ჩვენი ზემოქმედება 2022 წელს

260 მილიარდი ევრო

ინვესტიციის დაფინანსება ევროპის საინვესტიციო ბანკის საქმიანობის ფარგლებში

4,9 ტრილიონი ევრო

მობილიზებული ინვესტიციის მთლიანი რაოდენობა

72,45 მილიარდი ევრო

ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფის დაფინანსება

36,5 მილიარდი ევრო

მწვანე ინვესტიციების დაფინანსება

44,28 მილიარდი ევრო

ობლიგაციების ბაზრებიდან

14,11 მილიარდი ევრო

დაფინანსება მცირე ბიზნესისათვის

18,72 მილიარდი ევრო

დაფინანსება მდგრად ენერგიასა და ბუნებრივი რესურსებისათვის

15,52 მილიარდი ევრო

ინოვაციის, ციფრული და ადამიანური კაპიტალის სტიმულირებისათვის

5,3 მილიონი*

სამუშაო ადგილის მხარდაჭერა მცირე ბიზნესებში

* მონაცემები ეხება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს/საშუალო კაპიტალიზაციის მქონე კომპანიებს, რომლებმაც ისარგებლა ევროპის საინვესტიციო ბანკის მხარდაჭერით 2022 წელს ან ევროპის საინვესტიციო ფონდის მხარდაჭერით 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის სექტემბრამდე, 2022 წლის ბოლომდე შუამავლებთან გაფორმებული ოპერაციების შედეგად.

2022 წელს ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებამ შეადგინა 65,15 მილიარდი ევრო, მათ შორის 10,82 მილიარდი „ესბ გლობალის“ საქმიანობით.

25,4 მილიონი

ადამიანისთვის უფრო უსაფრთხო სასმელი წყალი

8,5 მილიონი

საოჯახო მეურნეობისთვის ელექტროენერგიაზე წვდომის უზრუნველყოფა

17 მილიონი

ადამიანი სარგებლობს გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით

6.6 მილიონი

გამომწერი მე-5 თაობის სერვისებზე წვდომით

570,1 მილიონი

დამატებითი მგზავრობა საჯარო ტრანსპორტით

234 700

ადამიანისთვის წყალდიდობის შემცირებული რისკი

15 800 მგვტ

ელექტროენერგიის წარმოების სიმძლავრე, 100% განახლებადი წყაროებიდან

3,1 მილიონი

უკრაინელი ლტოლვილი განთავსდა მიმღებ ცენტრებში ან დროებით საცხოვრებელ ობიექტებში

150,4 მილიონი

ადამიანი სარგებლობს გაუმჯობესებული ჯანდაცვის სერვისებით, მათ შორის კოვიდ–19-ის ვაქცინებით

* ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფის მთლიანი დაფინანსება ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მოიცავს– „ესბგლობალთან“ დამატებით – ევროპის საინვესტიციო ფონდის პროექტებს ევროკავშირის გარეთ და ევროპის საინვესტიციო ბანკის პროექტებს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციაში.

kraine

უკრაინის მხარდაჭერა

ევროპის საინვესტიციო ბანკი მხარს უჭერს უკრაინის სახელისუფლებო ორგანოებსა და უკრაინელ ხალხს. ის მხარს უჭერს დამოუკიდებელ უკრაინას. მიმდინარე კრიზისზე ევროკავშირისა და საერთაშორისო რეაგირების ფარგლებში, ბანკმა მოახდინა ფინანსური დახმარების მობილიზება უკრაინისათვის ევროპის საინვესტიციო ბანკის სოლიდარობის პაკეტის მეშვეობით, რათა დახმარებოდა უკრაინის მთავრობის გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ლიკვიდურობის მიღწევაში. დამატებით, ევროკომისიასთან თანამშრომლობით, ევროპის საინვესტიციო ბანკი მუშაობს შემდგომი დაფინანსების გამოყოფაზე, რომელიც საშუალებას მისცემს უკრაინის მთავრობას განაგრძოს კრიტიკულად მნიშვნელოვანი საჯარო სერვისების მიწოდება ქვეყანაში დარჩენილი მოქალაქეებისთვის, უზრუნველყოს ხელმისაწვდომი საკვები, სამედიცინო პროდუქცია და საწვავი, ასევე განაგრძოს ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ურბანული განვითარებისა და ციფრული პროექტების მხარდაჭერა. ორი მნიშვნელოვანი დაფინანსების პაკეტი დამტკიცდა 2022 წელს:

- პირველი პაკეტი 668 მილიონი ევროს ოდენობით დამტკიცდა უმოკლეს დროში ომის დაწყებიდან გადაუდებელი საჭიროებების შესყიდვაზე მთავრობის დასახმარებლად.

- მეორე პაკეტს 1,59 მილიარდი ევროს ოდენობით, რომელიც გამოიყო დაზიანებული ინფრასტრუქტურის შესაკეთებლად და კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროექტების გასაახლებლად, ხელი მოეწერა 2022 წლის ივლისს. 1 მილიარდ ევროზე ოდნავ მეტი ამ პაკეტიდან გამოიყო ქვეყნისათვის დაზიანებული გზების, ხიდების, რკინიგზის შეკეთების დასახმარებლად.

ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტმა, ევროკავშირის ბანკის სოციალური საკითხების და კულტურის ფილიალმა, ასევე შესთავაზა 2,5 მილიონი ევროს ოდენობის ჰუმანიტარული დახმარება ომით დაზარალებულ უკრაინელებს. ბანკი დაეხმარა 59 მილიონი ევროს ოდენობის გრანტების მიზნობრივ გადატანაში მატარებლებისა და რკინიგზის შესაკეთებლად უკრაინაში, ომისგან განადგურებული დროებითი ხიდების აგებაზე და ჯანდაცვისა და საცხოვრისის გაუმჯობესებაზე ადამიანებისთვის, რომლებმაც იძულებით დატოვეს სახლები.

ბანკმა ასევე თითქმის 18 მილიონი ევროს ღირებულების გრანტები შესთავაზა უკრაინას აღმოსავლეთ პარტნიორობის ტექნიკური დახმარების სატრასტო ფონდიდან, რათა დახმარებოდა თემებს ზრუნვაში დაახლოებით 700 000 ადამიანზე, რომლებმაც დატოვეს სახლები. პარტნიორობის ფონდის უკან დგას ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო. ევროპის საინვესტიციო ბანკი აგრძელებს მუშაობას ევროპელ პარტნიორებთან, რათა გამოიკვლიოს დამატებითი შესაძლებლობები უკრაინისა და უკრაინელი ლტოლვილების მხარდასაჭერად.

ევროპის საინვესტიციო ბანკმა გამოჰყო სესხი 15 მილიონი ევროს ოდენობით Spindiag GmbH-ისთვის ახალგაზრდა კომპანიის PCR-ზე დაფუძნებული დიაგნოსტიკური ანალიზის პლატფორმისთვის, რომელიც გამოყენებული იქნება ჯანდაცვის ობიექტებში.

კოვიდ–19

ევროპის საინვესტიციო ბანკმა კოვიდ–19-ზე ევროკავშირის გლობალური რეაგირების ფარგლებში მოწინავე ხაზი დაიკავა და აწარმოა ერთობლივი კამპანია ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, როგორიცაა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია და გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდი, რათა მომხდარიყო მყისიერი რეაგირება.

ევროპის საინვესტიციო ბანკის გადაუდებელმა დახმარებამ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებსა და ინოვაციურ სტარტაპებს საშუალება მისცა ინვესტირება მოეხდინათ მიუხედავად უკიდურესი ბუნდოვანებისა. ჩვენი მოლოდინია, რომ მოვახდენთ 200 მილიარდი ევროს ოდენობის დაფინანსების მობილიზებას ჩვენი ევროპის საგარანტიო ფონდის დახმარებით, რათა მხარი დავუჭიროთ მოწყვლად კომპანიებს, რომლებიც პანდემიის გამო იბრძვიან გადარჩენისთვის.

ევროპის საინვესტიციო ბანკმა ასევე დახმარება გაწია კოვიდ–19-ის ვაქცინების შექმნისა და შესყიდვის, ვირუსის გავრცელების შეზღუდვის გადაწყვეტებისა და კოვიდ–19-ის კრიზისთან დაკავშირებული სხვა საჯარო ჯანდაცვის პროექტების დაფინანსებაში.

პანდემიის პერიოდში ევროპის საინვესტიციო ბანკმა დააფინანსა იტალიური დამწყები კომპანია „ეგგტრონიკი“, რომელმაც გამოიგონა ენერგიის დამზოგი გარდამქმნელი. მაღალი ენერგოეფექტიანობის წყალობით, „ეგგტრონიკის“ გარდამქმნელები მსგავს დანადგარებთან შედარებით გაცილებით ნაკლებ ნახშირბადს გამოჰყოფს.

კლიმატი და ენერგეტიკა

კლიმატის ცვლილება წარმოადგენს ყველაზე დიდ გლობალურ გამოწვევას ჩვენი თაობისათვის. კლიმატთან დაკავშირებული მიზნების მიღწევა განაპირობებს ჩვენი შვილების კეთილდღეობას. ევროპის საინვესტიციო ბანკის კლიმატსა და ენერგეტიკასთან დაკავშირებული მიზნები ახალ სტანდარტებს ადგენს ევროპასა და მის საზღვრებს გარეთ. ჩვენ შევწყვიტეთ წიაღისეული საწვავის პროექტების დაფინანსება და ჩვენი ინვესტიციების 50%-ს 2025 წლისათვის გამოვყოფთ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ქმედებებსა და კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადობაზე. რუსეთის აგრესიამ უკრაინაში ევროპა ენერგეტიკულ კრიზისამდე მიიყვანა, რაც ქმედების საჭიროებას უფრო სასწრაფოს ხდის. აღნიშნულმა შეჭრამ შეგვახსენა ჩვენი ენერგომარაგების დაცვის მნიშვნელოვნება – ენერგეტიკა უსაფრთხოების საკითხია და დეკარბონიზაცია სტრატეგიული ავტონომიის საგანია.

ევროპის საინვესტიციო ბანკის ოპერაციები აჩქარებს „მწვანე ზრდას“ და ეკონომიკების დეკარბონიზაციას. ჩვენ მხარს ვუჭერთ ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის პროექტებს, რომელიც ხელს უწყობს ნახშირჟანგის ემისიის შემცირებასა და ჩვენი ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას. ყველა ჩვენი ქმედება მიზანმიმართულია მდგრად სოციალურ და ეკონომიკურ ზრდაში წვლილის შეტანისკენ. ევროპის საინვესტიციო ბანკის ინვესტიციები ასევე ეხმარება საზოგადოების მოწყვლად ნაწილს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შედეგების დაძლევაში, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვასა და მდგრადი ფერმერული საქმიანობის ხელშეწყობაში. ჩვენ ვზრუნავთ ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაზე და მომავალი თაობებისათვის გარემოს უსაფრთხო ადგილად ვაქცევთ. ნებისმიერი პროექტი, რომელსაც ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს ინოვაციების, მცირე ბიზნესისა თუ ინფრასტრუქტურის სფეროში, უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებს.

ევროპის საინვესტიციო ბანკმა დააფინანსა „ანაკონდა“ – პიონერი ესპანური კომპანია, რომელმაც შექმნა რენტაბელური მკურნალობა, რომელიც ეხმარება ექიმებს სიცოცხლის გადარჩენაში და ამცირებს უნარშეზღუდულობის შემთხვევებს ინსულტის გადატანის შემდგომ.

ინოვაცია

ინოვაცია უნარჩუნებს ევროპას კონკურენტუნარიანობას და ქმნის ღირებულ სამუშაო ადგილებს. ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს ინოვაციის ბევრ ეტაპს ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესების იდეების მხარდაჭერით.

ჩვენ ვაფინანსებთ როგორც ფართომასშტაბიან სამეცნიერო კვლევას, ასევე მცირე, სპეციალიზებულ ფირმებს. ჩვენი ინვესტიციები ისეთ სექტორებში, როგორიცაა ტელეკომუნიკაციები, ავიაცია, მედიცინა და გაციფრება, წარმოადგენს ერთგვარ გარანტს ამ პროექტებისათვის კერძო სექტორიდან დამატებითი დაფინანსების მოსაზიდად.

ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი საშუალებას აძლევს ევროპულ კომპანიებს შექმნან და განავითარონ უახლესი მაღალი ტექნოლოგიები. ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხების მხარდაჭერით, უნივერსიტეტებს შეუძლიათ ააშენონ და გააფართოონ საკუთარი კვლევითი ობიექტები, ხოლო ახალწამოწყებულ ბიზნესებს შეუძლიათ გაზარდონ კადრები და გააუმჯობესონ აღჭურვილობა. ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ინოვაციური იდეები წარმატებულ ბიზნესად იქცევა.

ევროპის საინვესტიციო ბანკი წარმოადგენს მთავარ მსესხებელს მცირე ბიზნესისთვის დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში, ეხმარება 30 000-მდე კომპანიას და ხელს უწყობს ნახევარი მილიონი სამუშაო ადგილის შენარჩუნებას. ჩვენი მუშაობის შედეგად, 1800-ზე მეტ სკოლას სერბეთში აქვს სწრაფ ინტერნეტზე წვდომა და უკეთესი ციფრული აღჭურვილობა, რამაც საშუალება მისცა მასწავლებლებს შეეთავაზებინათ დისტანციური სწავლა მოსწავლეებისათვის სახლში პანდემიის პერიოდში.

ჩართულობა

ევროპის საინვესტიციო ბანკი აძლიერებს მცირე ბიზნესებსა და ახალგაზრდებს, და მხარს უჭერს ქალ-მეწარმეებს მათთვის სესხებთან და მომზადების პროგრამებთან წვდომის მიცემით. ჩვენ შესაძლებლობას ვაძლევთ მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ნაწილს, თვითდასაქმებულებსა და მიკროსაწარმოებს ისარგებლონ ფინანსური და ბიზნესთან დაკავშირებული რჩევებით, რათა უზრუნველყონ საკუთარი პროექტების წარმატება.

ჩვენ არ გავცემთ პროექტის ღირებულების ნახევარზე მეტი ოდენობის სესხს. ევროპის საინვესტიციო ბანკი შექმნილია იმოქმედოს როგორც კატალიზატორი კერძო სექტორის მეტი ჩართულობის მისაღწევად პროექტში ინვესტირების გზით.

მდგრადობა

ევროპის საინვესტიციო ბანკი ახდენს ფულის მოზიდვას ობლიგაციების გამოცემით საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე. ჩვენი საუკეთესო საკრედიტო რეიტინგი საშუალებას გვაძლევს მოვიზიდოთ სახსრები კარგი განაკვეთით და ეს სარგებელი გადავცეთ ჩვენს კლიენტებს. ევროპის საინვესტიციო ბანკის კაპიტალის ბაზრის ექსპერტებმა შექმნეს და განავითარეს მწვანე და მდგრადი ობლიგაციების ბაზარი.

ჩვენ წარმოვადგენთ ზესახელმწიფოებრივ, მწვანე ობლიგაციების ყველაზე მსხვილ ემიტენტს, რომლის მეშვეობითაც ფინანსდება განახლებადი ენერგია, ენერგოეფექტურობა, სუფთა წყალი და სანიტარული პირობების გაუმჯობესება.

Orange Money
5 000 F
TRANSFERT DE CREDIT & RECHARGE
100 F
Orange Money
100 F
HANFANG

მცირე ბიზნესებმა კონგოში მიიღეს სესხი ევროკავშირის საინვესტიციო ბანკისგან პანდემიის პერიოდში სამართლიანი საპროცენტო განაკვეთით არაოფიციალური მსესხებლების მაღალი განაკვეთებისგან განსხვავებით, რაც დაეხმარა მათ ბიზნესებსა და თემებს.

„ესბ გლობალი“

„ესბ გლობალი“, ევროპის განვითარების ბანკის ფილიალი, დაფუძნდა 2022 წელს ჩვენი განვითარების დაფინანსების ზემოქმედების გასაზრდელად. ევროპის საინვესტიციო ბანკმა განახორციელა 70 მილიარდ ევროზე მეტი ოდენობით ინვესტიცია ევროკავშირის გარეთ ბოლო ათწლეულის მანძილზე (2012–2021), მილიარდობით ინვესტიციის მობილიზება მოხდა კერძო სექტორიდან. „ესბ გლობალი“ აძლიერებს ევროპის საინვესტიციო ბანკის ზემოქმედებას ადგილობრივ მოსახლეობასთან, კომპანიებთან და ინსტიტუტებთან დაახლოებით.

ევროპის საინვესტიციო ბანკი გააფართოებს ადგილობრივი მიკროსაფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერას რეგიონებში, სადაც ხალხს ხშირად არ აქვს წვდომა ბანკებთან. იმ პირობებში, როცა ხალხს შეუძლია კრედიტის აღება, ბიზნესები ასაქმებენ მეტ მომუშავე პერსონალს, ქალები ხდებიან დამოუკიდებლები, იძულებით გადაადგილება მცირდება და საოჯახო მეურნეობებს შეუძლიათ დაძლიონ სიღარიბე.

ჩვენ გავზრდით ევროპის საინვესტიციო ბანკის სექტორულ ექსპერტულ ხელმისაწვდომობას ადგილობრივ დონეზე ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების ადგილობრივი პარტნიორებისთვის გაზიარებით. ჩვენ შევთავაზებთ დამოუკიდებელ კონსულტაციებს, რომლებიც დაფუძნებულია ქვეყნებისა და დარგების ფართო სპექტრში მუშაობისას დაგროვილ გამოცდილებაზე. ეს საკონსულტაციო სერვისები შეიძლება თან ახლდეს ევროპის საინვესტიციო ბანკების ფინანსურ პროდუქტებს, ან შეიძლება შეთავაზებული იყოს დაფინანსებისგან დამოუკიდებლად.

PEG
AWIAKANIA
MAX

კლიმატის ცვლილება, კოვიდ–19-ის პანდემია და სხვა კრიზისები მოითხოვს, რომ მილიარდები, რომელთა ინვესტირებასაც ვახდენთ ჩვენ საერთაშორისო და ეროვნულ პარტნიორ ბანკებთან ერთად, იქცეს ტრილიონებად ახალი პარტნიორობების ჩამოყალიბებით და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან მუშაობით. უმნიშვნელოვანესია ის, რომ ევროპის საინვესტიციო ბანკის ჩართულობა ხელს უწყობს კერძო სექტორის ჩართულობას, რაც ინვესტირების ახალ პერსპექტივებს ხსნის.

მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს სჭირდებათ 2 ტრილიონ ევროზე მეტი დამატებითი ყოველწლიური ინვესტირების სახით, რათა მიაღწიონ კლიმატის ცვლილების მოგვარების შესახებ გაეროს მდგრადი განვითარებისა და პარიზის შეთანხმების მიზნებს.

როგორც ევროკავშირის კლიმატის ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი მუშაობს, რათა მხარი დაუჭიროს „ევროპის მწვანე შეთანხმებას“ – ევროკავშირის გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა უზრუნველყოს კლიმატის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საგადასახადო პოლიტიკებით სათბური აირების გაფრქვევის შემცირება, სულ მცირე, 55%-ით 2030 წლისთვის (1990 წლის დონეებთან შედარებით). ევროკავშირის წილი გლობალურ გამონაფრქვევში მხოლოდ 10%-ია, ამდენად „ესბ გლობალი“ დაეხმარება გაფართოვდეს ევროკავშირის დეკარბონიზაციის ძალისხმევა მის საზღვრებს მიღმა „გლობალური მწვანე შეთანხმების“ მხარდაჭერით.

„ესბ გლობალი“ არის ევროკომისიის მთავარი მოკავშირე თავის 300 მილიარდი ევროს ღირებულების „გლობალური კარიბჭის“ პროგრამაში, რომელიც ციფრული, კლიმატის, სატრანსპორტო, ენერგეტიკის და საგანმანათლებლო სექტორებში გლობალური და რეგიონალური ურთიერთკავშირის პროექტების მხარდამჭერია. განვითარების სესხები და ფინანსური დახმარება აჩქარებს ზრდას, მეტი კეთილდღეობა მოაქვს სოფლის რეგიონებისათვის, მეტად ინოვაციურს ხდის ქალაქებს და აძლიერებს ეკონომიკებს.

„ესბ გლობალის“ მუშაობა მხარს უჭერს ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებას, სამუშაო ადგილზე ქალთა გაძლიერებას ქალების მიერ მართულ ბიზნესებთან თანამშრომლობით. ჩვენ ვეხმარებით მილიონობით ადამიანს ვისაც არ აქვს წვდომა სუფთა წყალთან, ელექტროენერგიასთან, ვაქცინებთან, კარგ ჯანდაცვასთან და ადეკვატურ ნარჩენების დამუშავების სისტემებთან.

ჩვენი ვალდებულებები

ევროპის საინვესტიციო ბანკი ანგარიშვალდებულია ევროკავშირის მოქალაქეების წინაშე. ბანკი მხარს უჭერს პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს ევროკავშირის პრიორიტეტების და მიზნების ხელშეწყობას, მათ შორის კლიმატის და გარემოს მდგრადობას, ინოვაციასა და უნარებს, ინფრასტრუქტურას, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, ურთიერთგათანაბრებასა და განვითარებას. ევროპის საინვესტიციო ბანკი უზრუნველყოფს რომ ყველა მის მიერ მხარდაჭერილი პროექტი – იქნება ეს ენერგეტიკის, ტრანსპორტის, მრეწველობისა თუ ენერგეტიკის დარგში – თანხვედრაში იყოს პარიზის შეთანხმების მიზნებთან. ჩვენ გუნდი შედგება ეკონომისტების, ინჟინრების, ფინანსური ანალიტიკოსებისა და კლიმატის სპეციალისტებისგან, რომლებიც ყოველდღიურად მუშაობენ ადგილობრივ ექსპერტებთან, ინსტიტუტებთან და მთავრობებთან მსოფლიოს მასშტაბით.

ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი შედგება ევროპის საინვესტიციო ბანკისა (ესბ) და ევროპის საინვესტიციო ფონდისგან (ესფ).

ევროპის საინვესტიციო ბანკი ევროკავშირის ბანკია. ის წარმოადგენს მსოფლიოს უმსხვილეს მრავალმხრივ მსესხებელსა და სესხის გამცემს. ევროპის საინვესტიციო ბანკს, რომლის ცენტრალური ოფისი ლუქსემბურგშია, აქვს ადგილობრივი და რეგიონალური წარმომადგენლობების ფართო ქსელი ევროპასა და მის საზღვრებს გარეთ.

ევროპის საინვესტიციო ფონდი მხარს უჭერს მცირე ბიზნესებს მათთვის დაფინანსებაზე წვდომის გაუმჯობესებით ევროპასა და ევროპის გარეთ რიგ ქვეყნებში. ევროპის საინვესტიციო ფონდი აპროექტებს და ქმნის ვენჩურულ და ზრდის კაპიტალს, გარანტიებსა და მიკროსაფინანსო ინსტრუმენტებს ინოვაციებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

„ესბ გლობალი“ წარმოადგენს ევროპის საინვესტიციო ბანკის საერთაშორისო განყოფილებას. 2022 წელს დაარსებიდან „ესბ გლობალი“ აგრძელებს ევროპის საინვეტიციო ბანკის ათწლეულის ვალდებულებას დააფინანსოს განვითარება, კლიმატთან დაკავშირებული ქმედება, ინოვაციური ინვესტიციები და მდგრადობა მსოფლიოს მასშტაბით.

02/2023 KA pdf: ISBN 978-92-861-5497-3